სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 4 ივნისის №142/01-01 ბრძანების საფუძველზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრებზე **ასისტენტ პროფესორების** (კატეგორია „ა") სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 28 ივნისის №70/2024 დადგენილების პუნქტი 4-ის საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის სხდომის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი 25 ივლისი 2024 წელი

თსუ XI კორპ. ოთახი #480 12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გურამ ქუთელია - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. თამარ წუწუნავა - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. დავით ლორთქიფანიძე - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. ზურაბ ლებანიძე - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
5. გიორგი ბერიძე - ალექსანდრე ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (კომისიის მდივანი);

დღის წესრიგი:

1. სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა** და **სასარგებლო წიაღისეულისა** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრებზე **ასისტენტ პროფესორების** (კატეგორია „ა") სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, შედეგების ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსათვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, ასოცირებულ პროფესორ გურამ ქუთელიას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების განხილვის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ.

მან აღნიშნა რომ საკონკურსო კომისიას საბუთები გადაეცა დალუქულ მდგომარეობაში და საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის **მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის** (კატეგორია „ა") **ერთ** ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა – **მარიამ ახალკაციშვილმა** და **რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის** კათედრაზე **ასისტენტ პროფესორის** (კატეგორია „ა") **ერთ** ვაკანსიაზე განცხადება შემოიტანა ერთმა კანდიდატმა – **კახა ქოიავამ.**

კონკურსანტების შეფასება მოხდა ორ ეტაპად. შეფასების I ეტაპზე შემოწმდა დოკუმენტაცია, შეფასდა კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ ანკეტაში მოყვანილი ინფორმაცია კონკურსანტის შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი N4, დადგენილება #45/2017, 01.05.2017). მეორე ეტაპი - გასაუბრება, ჩატარდა კითხვა-პასუხის რეჟიმში. ორივე ეტაპის ურთიერთშეჯერების შემდეგ, ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

კონკურსანტ მარიამ ახალკაციშვილის შეფასება
მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრა

შეფასების I **კატეგორია („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან") განათლება, აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი № 006111; **სამსახურებრივი გამოცდილება** - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის ლაბორანტი (1995-2000 წწ), ინჟინერ-გეოლოგი (2000-2007 წწ), ლაბორატორიის გამგე (2007-2008 წწ), ასისტენტ პროფესორი 2008 წლიდან დღემდე, **პედაგოგიური სტაჟი** (16 წელი) შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კონკურსანტმა I **კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან") მიხედვით, მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს".**

შეფასების II **კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან").** აღნიშნულ კატეგორიას შეესაბამება შემდეგი მონაცემები:
კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება: 2008 წლიდან თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის ასისტენტ პროფესორი, პედაგოგიური გამოცდილება 16 წელი; **სასწავლო-მეთოდური საქმიანობა:** სახელმძღვანელო - ღონღაძე გ., ახალკაციშვილი მ., „გეოლოგიის საფუძვლები", თბილისი, 2018 წ., ელექტრონული კურსები თსუ-ს ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე http://e-learning.tsu.ge/course/; **წაკითხული სალექციო კურსები:** კრისტალოგრაფია, მინერალოგია, გეოლოგიის შესავალი, საიუველირო და სანახელავო ქვები. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან; პროფილის მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო კურსები გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურუკულუმის საგნების სავალდებულო და არჩევითი საგნებია.

კომისიის გადაწყვეტილებით, II **კატეგორიის** მიხედვით კონკურსანტმა **მარიამ ახალკაციშვილმა** მიიღო შეფასება - „მაღალი".

III კატეგორია („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“)

კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 2 სამეცნიერო პუბლიკაცია, 16 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია; ბოლო 6 წლის განმავლობაში მონაწილეობდა 4 საერთაშორისო და 8 ადგილობრივ კონფერენციაში; არის 2 საგრანტო პროექტის ძირითადი შემსრულებელი; ციტირების ინდექსი Web of Science - 3, google scholar – 47.

კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი **ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი** შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. მის მიერ წარმოდგენილი **სამოტივაციო წერილი** პროფილის შესაბამისია და ნათლად გადმოსცემს მის ხედვას და მიდგომას სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით** არის **„მაღალი“.**

IV **კატეგორიაში** („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“)

კონკურსანტის მიერ ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული იყო აქტივობები: გეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, თსუ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელი, სტუდენტთა საკონფერენციო მოხსენებების ხელმძღვანელი, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი, თსუ ყოველწლიური საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით საინფორმაციო-პოპულარული ლექციების წარმდგენი.

კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსანტის შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით** არის **„მაღალი“.**

კონკურსანტ **კახა ქოიავას** შეფასება
რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრა.

შეფასების **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით **კონკურსანტის** განათლება, **აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი** - გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი № # 004688, **სამსახურებრივი გამოცდილება** - კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის ლაბორანტი 1977-1979წწ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორანტი 1984-1986 წწ, ლაბორატორიის გამგე 1986 წ, ასისტენტი 1986-2006 წწ, ასისტენტ პროფესორი 2006 წლიდან დღემდე და **პედაგოგიური სტაჟი** 38 წელი შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კონკურსანტმა, კახა ქოიავამ, **I კატეგორიის** („ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“) მიხედვით, მიიღო შეფასება **„კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.**

შეფასების **II კატეგორია („პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან“).** აღნიშნულ კატეგორიას შეესაბამება შემდეგი მონაცემები:

კონკურსანტის **პედაგოგიური** გამოცდილება შეადგენს 38 წელს, **სასწავლო-მეთოდური საქმიანობაა** სალექციო კურსები თსუ-ს ელექტრონული სწავლების პლატფორმაზე http://e-

learning.tsu.ge/course/, **წაკითხული სალექციო კურსებია:** ზოგადი გეოლოგია, პალეონტოლოგია, გეოლოგიის შესავალი, პალეონტოლოგიური კვლევის მეთოდები, პალეობიოგეოგრაფია პალეოეკოლოგიის საფუძვლებით, სასწავლო-საველე პრაქტიკა ზოგად გეოლოგიასა და საძიებო გეოფიზიკაში, სასწავლო-საველე პრაქტიკა მინერალოგიასა და ისტორიულ გეოლოგიაში. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულ შესაბამისობაშია თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებთან, პროფილის მიხედვით წარმოდგენილი სასწავლო კურსები გეოლოგიის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის კურუკულუმის საგნების სავალდებულო და არჩევითი საგნებია.

კომისიის გადაწყვეტილებით **II კატეგორიის მიხედვით** კონკურსანტმა **კახა ქოიავამ** მიიღო შეფასება - **„მაღალი“.**

III კატეგორია („სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა“)

კონკურსანტს აქვს იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული 3 სამეცნიერო პუბლიკაცია, 8 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია წარმოდგენილია; <u>ბოლო 6 წლის განმავლობაში</u> მონაწილეობდა 8 საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციაში; არის 1 საგრანტო პროექტის ძირითადი შემსრულებელი; ციტირების ინდექსი Web of Science-ის მიხედვით 9, google scholar - 23.

კონკურსანტის მიერ საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი **ერთი გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომი** შესრულებულია მაღალ პროფესიულ დონეზე. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი **სამოტივაციო წერილი** პროფილის შესაბამისია და ნათლად გადმოსცემს კონკურსანტის ხედვას.

კონკურსანტის საერთო შეფასება **III კატეგორიის ორივე ნაწილის** მიხედვით არის **„მაღალი“**

IV კატეგორიაში („ბოლო 6 წელიწადში სხვა სახის აქტივობა“ და „დამატებითი ინფორმაცია“)

კონკურსანტის მიერ ბოლო 6 წლის განმავლობაში განხორციელებული აქტივობები წარმოდგენილია მონაცემების მიხედვით: გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, სტუდენტთა საკონფერენციო მოხსენებების ხელმძღვანელი, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის კომისიის წევრი.

კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტის შეფასება **IV კატეგორიის ორივე ნაწილის** მიხედვით არის **„მაღალი“.**

კონკურსანტებს მარიამ ახალკაციშვილსა და **კახა ქოიავას** მიენიჭათ **პრეტენდენტების** სტატუსი და გადავიდნენ შეფასების მეორე ეტაპზე – გასაუბრებაზე.

გასაუბრება ჩატარდა დადგენილი პროცედურების დაცვით, კითხვა-პასუხის რეჟიმში. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს კონკურსანტებმა ამომწურავად უპასუხეს. გასაუბრების შედეგების მიხედვით დადასტურდა, რომ პრეტენდენტები სამუშაო გამოცდილებით, ერუდიციით და პროფესიონალიზმით, პროფესიული უნარ-ჩვევებით, გადმოცემის უნარით, ქცევისა და მეტყველების მანერით, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და მართვის სისტემის ცოდნით შეესაბამებიან საკონკურსო თანამდებობას და ასისტენტ პროფესორის ვაკანსიის მოთხოვნებს.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით, ჩატარდა კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა კომისიის სრული შემადგენლობა, 5 წევრი. მოქმედი დებულების თანახმად კენჭისყრა იყო ფარული.

კენჭისყრის შედეგები:

მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა") თანამდებობაზე

1. **ახალკაციშვილი მარიამი,** მომხრე - 5 , წინააღმდეგი - 0

კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი **მარიამ ახალკაციშვილის** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. გადაწყვეტილების მიღებისას, კომისია დაეყრდნო **მარიამ ახალკაციშვილის** სამეცნიერო-პედაგოგიურ გამოცდილებას, სასწავლო-მეთოდური მუშაობისა და სამეცნიერო კვლევების მონაცემებს, სასწავლო პროცესის სიღრმისეულ ცოდნასა და მის მიერ განხორციელებულ აქტივობებს. კომისიის აზრით, კონკურსანტის გამოცდილება და საქმიანობა ხელს შეუწყობს კვლევით და სასწავლო პოტენციალის გაძლიერებას. კომისიამ ასევე გაითვალისწინა მისი პიროვნული თვისებები, უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის გამოცდილება.

რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის **ასისტენტ პროფესორის** (კატეგორია „ა") თანამდებობაზე

1. **ქოიავა კახა,** მომხრე - 5 , წინააღმდეგი - 0

კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი **კახა ქოიავას** კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია თსუ გეოლოგიის დეპარტამენტის რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის, როგორც სასწავლო-სამეცნიერო ერთეულის, ფუნქციონირებისა და შემდგომი განვითარების მიზნებითა და ამოცანებით. მიიღო რა დადებითი გადაწყვეტილება, კომისიამ გაითვალისწინა **კახა ქოიავას** ხანგრძლივი პედაგოგიურ გამოცდილება, სასწავლო-მეთოდური მუშაობის უნარ-ჩვევები და აგრეთვე მისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. კომისიამ საყურადღებოდ მიიჩნია მის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აქტივობები. კომისიამ ასევე, დადებითად შეაფასა მისი აქტიური ჩართულობა სტუდენტთა საველე-პრაქტიკულ მუშაობაში. გათვალისწინებულ იქნა აგრეთვე, კ. ქოიავას პიროვნული თვისებები, მისი ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი, სტუდენტ-ახალგაზრდობასთან კომუნიკაციის დამყარების გამოცდილება.

დაადგინეს:

1. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის მინერალოგია-პეტროლოგიისა და სასარგებლო წიაღისეულის კათედრაზე ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა") ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა მარიამ ახალკაციშვილი.

2. თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოლოგიის დეპარტამენტის რეგიონული გეოლოგიისა და პალეონტოლოგიის კათედრის ასისტენტ პროფესორის (კატეგორია „ა") ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა კახა ქოიავა.

3. კომისიამ იმსჯელა თსუ აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად დაადგინა - შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ აკადემიურ საბჭოს.

კომისიის წევრები:

გურამ ქუთელია (კომისიის თავმჯდომარე);

თამარ წუწუნავა (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

დავით ლორთქიფანიძე (კომისიის წევრი)

ზურაბ ლებანიძე (კომისიის წევრი)

გიორგი ბერიძე (კომისიის მდივანი)

თარიღი: 25.07.2024